1
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ რაიონებში დაუშვებლად ჭიანურდება სასკოლო შენობების მშენებლობა.

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

— ჩემი შვილი პირველ კლასში იყო ამ სკოლის მშენებლობა რომ დაიწყეს, ახლა ის საშუალოს ამთავრებს, შენობა კი სანახევროდაც არ დაგიმთავრებიათ!

№ 18 თბილისი სექტემბერი 1959

ბარბაცელი

გამოცემის XXXVII წელი. ფასი 2 მან.



ღია ბარათი თბილისის კომუნალური მომსახურების საწარმოთა სამმართველოს

უფროსს ამხ. ალ. ჩათოევს

ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს-ძევ! ვიდრე იმის შესახებ ვიტყოდე, რომ შენდამი რწმუნებული აბანოების ზოგიერთ თანამშრომელს კარგი აბანო მოუწყვე, მინდა შეგახსენო, რომ დედამიწას მზის მცხუნვარებისაგან ატმოსფერო რომ არ იცავდეს, დავიწვებოდით. მიუხედავად ატმოსფეროს ამ კეთილი თვისებისა, აბანოში ზამთარშიც ცხელა, რადგან ატმოსფერული ნალექების, ანუ ისევ ატმოსფეროს წყალობით იქ ხანდახან მოდის მდუღარე. მაგრამ ჩვენ მაინც სიამოვნებით ვუშვერთ თავს ამ მდუღარეს, რადგან აბანოდან გამოვდივართ სპეტაკნი და სუფთანი, ვით ყვავილნი ნუშისა.

ახლა კი ნამდვილად შემედავები—რა კავშირი აქვს ატმოსფეროს ჩემს აბანოებთანო. პირდაპირი, ჩემო მიხეილ, და ცოტაც არაპირდაპირი... თურმე, შენი დიდი გამოცდილებითა და ხელოვნებით ისეთი ხელოვნური ატმოსფერო შეგიქმნია, რომ ზოგიერთი აბანოს ზოგიერთ მუშაკს ორჯერ უფრო სცხელა, ვიდრე თბილისის ცის ქვეშ მცხოვრებს აგვისტოში, ხოლო ეს მუშაკი, სხვას რომ აბანოდან სუფთას გაისტუმრებს, თვითონ ჭუჭყიანი მიდის და ესეც თურმე იმავ შენგან შექმნილი ატმოსფეროს წყალობით ხდება. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში ისევ შენი მუშაკების ეს ტერმინი მაქვს: პირადი საქმე გამიჭუჭყიანეს, შრომის წიგნაკი გამიჭუჭყიანეს და სხვა. აბა, რამ უნდა «გააჭუჭყიანოს» შრომის წიგნაკი იქ, სადაც ბევრი წყალი და საპონია! ალბათ იმან, რომ საპონმა თვალების აწვა და დაბრმავება იცის.

მგონი თავი შეგაწყინე, ძვირფასო მიხეილ, ამ გრძელი შესავალით. რას იზამ, იმდენი მოთმინება მაინც იქონიე, რამდენიც მოითმინა № 7-8 აბანოს ყოფილმა განყოფილების გამგემ ნადეჟდა ჯიოევამ, რომელიც თქვენი და აბანოს გამგის ლ. დოლიძის მზრუნველობითა და მეცადინეობით ერთ-მეტი თვის მანძილზე ხან თანამდებობიდან ჩამოაყენეთ, ვითომ «დროებით», ხან უმუშევრად ამყოფეთ და საარსებო წყარო მოუსპეთ. თუმცა ამის შეხსენება რად გჭირდებათ, ორივემ კარგად იცით, რომ ჯიოევას ქმარი სამამულო ომის ინვალიდია, მეუღლე არჩენს და უვლის. მაგრამ ეს მარჩენალი მაინც «ჩამოაყენეთ». ამას არ დასჯერდით და «დროებითი» მუდმივად შეუცვალეთ. როცა სახალხო სასამართლომ მიგითითათ, სწორად არ იქცევითო, უმაღლესს მიაკითხეთ. იქაც დაგარწმუნეს, ჯიოევა მართალიაო, იძულებული გახდით და აღადგინეთ. თორმეტი დღის შემდეგ ფანდი იხმარეთ, ისევ «ჩამოაყენეთ» და ქალს მამაკაცის საქმე დაავალეთ. როცა ჯიოევამ ეს თქვენი ბრძანება შარის მოდებათ ჩათვალა და ამ სამუშაოზე არ გამოცხადდა, მთლად მოხსენით. სახალხო სასამართლომ მეორედ გამოიტანა გადაწყვეტილება, ამხანაგი თათარიშვილი ცუდ ატმოსფეროს ქმნისო. თქვენ სახალხოს არ დაუჯერეთ და კვლავ უმაღლესს მიაკითხეთ. უმაღლესმაც იგივე გაგიმეორათ. მაგრამ თავი ამათზე ჭკვიანადაც ჩათვალეთ, აღმასრულებელი ფურცელი ჯიოევას აღდგენის შესახებ უჯრაში ჩაკეტეთ და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს არზა მიართვით. როცა იქაც თქვეს, ჯიოევა მართალიაო, თქვენ არც ამას დაუჯერეთ, რადგან ყველაზე ჭკვიანი ხართ, და ჯიოევას იმის საშუალებაც არ მიეცით, რომ თქვენი მიზეზით დაკარგული ხელფასი მიეღო, რადგან აღმასრულებელი ფურცელი კვლავ უჯრაშია. ამაზე უკეთეს აბანოს თავის თანამშრომელს სხვა ვერავინ მოუწყობს. თურმე იმავ აბანოში ამბობენ, ჩვენი უფროსის ხელოვნური ატმოსფერო ისე დაიძაბა, საცაა იფექებსო. თქვენ ეს ნუ შეგაწუხებთ, რადგან ჯიოევა წყნარი ცხვარია, მაგრამ ცხვარიც ხომ ხანდახან ცხარეა!

სხვებრ კარგად ბრძანდებოდეთ, პატივცემულო მიხეილ! მოკითხვა გადაეცით თბილისის № 2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს ალექსანდრე სიმონის-ძე ჯავაშვილს კონდუქტორ გურგენ სარქისის-ძე პოპოვის იმგვარად პატივისცემისათვის, როგორც შენ ეცი პატივი ჯიოევას. პოპოვის აღმასრულებელი ფურცელი № 2/1716 სამსახურში აღდგენის შესახებ ხომ ახლაც იურისკონსულტის უჯრაში განისვენებს, თვითონ პოპოვი კი ოთხი ბავშვით ხან ჯავაშვილის კაბინეტის კარს მიადგება, ხან ისევ იურისკონსულტს ეხვეწება აღდგენას. მოკითხვა გადაეცი აგრეთვე წარმოებადაწესებულებების იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც თქვენებრ ემარჯვებათ სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თავისი მუშაკების აბუჩად აგდება და რომელთაც ჯერჯერობით წერილი ვერ მივაწვდინე.

თქვენი ნახვის მოსურნე **ნიანგი**

ნახ. ჯ. ლოლუასი

ბაშურის რკინიგზის სადგურის საპარიკმახეროში დამლაგებელი არ ჰყავთ და ამის გამო უსუფთაობაა გამეფებული.

— პირი კი გავიპარსე, მაგრამ ახლა აბანოს გარეშე სახლში არ მიმესვლება.

გულშემატკივრობა უფასოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის სიყვარული ბავშვობიდანვე აღმომაჩნდა. ბებიაჩემის გადმოცემით, სიარული ხეირიანად არც კი ვიცოდი, თურმე, რომ დიდი ოსტატობით გამჭონდა ბურთი ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე და შესანიშნავი დარტყმებით ვამსხვრევდი ძვირფას ნივთებს, რაც მშობელთა აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევდა. იმ დროისათვის ცნობილი გულშემატკივრები დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ და ჩაის ჭიქით სვამდნენ ჩემს, როგორც მომავალი ფეხბურთელის,სადღეგრძელოს.მაგრამარ გამართლდა მათი პროგნოზი. მე უფრო ადრე შევაფასე ჩემი შესაძლებლობა და ცუდ ფეხბურთელობას კარგი გულშემატკივრობა ვარჩიე.

თუ ვინმეზე იტყვიან, ფეხბურთის გულშემატკივარიაო, პირველ რიგში მეც უნდა მოვიხსენიონ. არც ერთი მატჩი არ ჩატარებულა თბილისში და მის მახლობელ ქალაქებში, რომელსაც მე არ დავსწრებოდე. ვესწრები ყველა კლასისა თუ უკლასო გუნდების თამაშს, დაწყებული ჭაბუკ ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობის თამაშიდან და დამთავრებული ვეტერანთა მიერ თავიანთი ახალგაზრდობის მოსაგონებლად ჩატარებულ მატჩებით.

უკვე შევიძინე ტიპიური გულშემატკივრის დამახასიათებელი თვისებები. თამაშს, ვესწრები წელიწადის ყოველ დროს და ყოველგვარ ამინდში. ამას წინათ ისეთ კოკისპირულ წვიმაში ვუყურე თამაშს, რომ მეორე დღეს მე თვითონ მიკვირდა. მთელი 90 წუთი ისე არხეინად ვიჯექი იმ თავსხმაში, რომ კაცს ეგონებოდა კარგ კამპანიაში თამადად არისო. საღამოს სახლში რომ მივედი, ისე ვიყავი გაწუწული, რომ ცოლი კარგა ხანს მოუნდა ჩემს ცნობას. იმ დღეს პრაქტიკულად დავრწმუნდი სტადიონზე, თუ ვინ არიან ყველაზე მტკიცე და ურყევი გულშემატკივრები.

ჩვენი „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ შესანიშნავად ჩატარებულმა შეხვედრებმა არნახული ტემპით გაზარდა ფეხბურთის მოყვარულთა და გულშემატკივართა რიგები. უკანასკნელი მატჩების დროს მრავალ მაყურებელს მიენიჭა გულშემატკივრის საპატიო წოდება. მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონში გულშემატკივრები წელში გამართული დავდივართ და ნურავინ დაგვემდურება, თუ სტადიონზე გულგრილად ვერ შევხვდებით, როცა ღოღობერიძის მიერ შესანიშნავად დარტყმული ბურთი სასიამოვნოდ შეარხევს მოწინააღმდეგის კარის ბადეს. ანდა რომელი გულშემატკივარი შეიკავებს თავს, რომ თავისი აღფრთოვანება არ გამოხატოს კალოევის თავური გარტყმით. ბუნებრივია ჩვენი აღფრთოვანება, როდესაც მეკარე კოტრიკაძე თავგანწირულ ნახტომს აკეთებს და თავის კარს იხსნის აშკარა გოლისაგან. ჩვენ ტაშს ვუკრავთ იამანიძის, ზეინკლიშვილის, მელაშვილის, გაგნიძისა და მესხის ოსტატურ თამაშს.

გულშემატკივრებს ამჟამად იმაზე შეგვტკივა გული, რომ ჩვენი პირველი კლასის გუნდს სტადიონიც პირველი კლასის უნდა ჰქონდეს და იქ სანიმუშო წესრიგი იყოს დამყარებული. პირველ რიგში საქმე იმას ეხება, თუ როგორ მივიდეს მაყურებელი თავის რიგამდე. იარუსებზე ასასვლელი კიბეები, მატჩის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, დაკავებული აქვთ საკმაო ასაკის „ძიებს“ და თავი ისე მოაქვთ, თითქოს პატარა ბავშვები იყვნენ.

მათ სეზონის დასაწყისშივე საკუთარ ლოჟად მიუჩნევიათ ეს კიბეები და ახლა ძნელი ხდება ამ მესაკუთრული უფლებების დარღვევა. საქმე ის არის, რომ წესრიგის დამცველი ზოგიერთი მილიციელი (უფრო სწორად, წესრიგის დასაცავად გამოგზავნილი) მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავს და არ ერევა მათ „ოჯახურ საქმეში“. მაყურებელს დიდი ჯანი და ღონე უნდა ჰქონდეს, რომ დიდი ვაი-ვაგლახით თავის რიგამდე მიაღწიოს. აქ კიდევ ერთი ბრძოლის გადატანა მოუხდება, რომ თავისი საკუთარი, მაგრამ ამჟამად სხვისაგან დაკავებული ადგილი დაიკავოს.

უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან პირველი და მეორე იარუსის უკანასკნელ რიგში მსხდომნი მაყურებლები, რაშიაც დამნაშავე არიან მეორე და მესამე იარუსის პირველი რიგის მკვიდრნი სიტყვა მკვიდრნი ნამდვილად გამოხატავს მათ მდგომარეობას, რადგან წლების მანძილზე მათ მემკვიდრეობით გადმოცემულ ქონებასავით უჭირავთ ეს ადგილები და, ალბათ, ამით არის გამოწვეული, რომ ისინი სათანადო პატივისცემას ვერ იჩენენ დაბლა მსხდომ კოლეგებისადმი. ერთხელ რომ მაინც შეეცვალათ მათი როლები, მაშინ გაიგებდნენ ისინი, თუ წლების მანძილზე როგორ დაუმსახურებლად სჯიან თავიანთ თანამესტადიონეებს.

მეორე და მესამე იარუსის პირველი რიგის მკვიდრთა ოჯახს ყოველთვის თან ახლავს ხიზნები, რომლებიც გასაშრომ ტანსაცმელივით არიან გამოკიდებული რკინის მოაჯირზე და დაბლა ჩამოშვებული ფეხებით სრული სახით გადასცემენ დაბლა მსხდომ ამხანაგებს ბურთის გატანით ან მარჯვე დარტყმით გამოწვეულ ემოციებს.

გახურებული თამაშის დროს აბა რას იგრძნობს კაცი, რომ ზედა იარუსებიდან სეტყვასავით ცვივა და ცვივა გადამუშავებული და ზოგჯერ ნახევრადგადამუშავებული (ეს დამოკიდებულია მწვავე მომენტებზე) მზესუმზირას ჩენჩო. მე კიდევ რა მიშავს, ჩემს მელოტ თავზე ვერაფერი მოიკიდებს ფეხს, იკითხონ იმ ახალგაზრდებმა, ტარზანივით რომ გაუშვიათ თმები, საღამოს ნახევარ ფუთ მზესუმზირას ჩენჩოს მაინც მიიტანენ თავით სახლში.

მიმდინარე წლის სეზონში ბევრი სიხარული განაცდევინეს გულშემატკივრებს ჩვენი „დინამოს“ მოთამაშეებმა. ახლა გული მხოლოდ იმაზე შეგვტკივა, რომ სათანადო წესრიგი იყოს სტადიონზე.

ნ. ნუკრიძე

ნახ. ზ. გოგოლაძისა

— ფასები ხომ გამოიცვალა, შენ კი ძველებურად გვიანგარიშე!

— ფასები გამოიცვალა, ჩვენ ხომ არ გამოვცვლილვართ?

ნახ. გ. ფირცხალავასი

— მართალი ყოფილან ჩვენი ხახლის მობინადრეები ყოველდღე რომ მეჩხუბებოდნენ, სახურავიდან წყალი ჩამოდისო!

კვირის გაკვრა

მაცუნაცოლდა ობგან,
იქითაულს საპგან,
შეიპინა „ვოლგა“,
„პოშედას“ კი არ გავს.

— : —

ბის ანაქანგამცოლალი,
ისეე ისხამს ბალოდგეილი,
თუ თავი სპოლს სავიალეს,
ღვინოს რაღაც აკიალეშს.

— : —

ხილშოსცნეოლის საგაკრო,
ვიტრინა აკვაკეშოლი,
შეკოლ, ვიაკადე ლამშინი,
გაოცდეინილი, გაცყაკეშოლი.

— : —

არსენოშას მოიასოდა
მსასხიოში ქონდარაო,
არსენასთან შესადარი
არაფერი ქონდა რაო.

შაძრო დვალიძე

ნახ. ჯ. ყავლაშვილისა

— ბაბულა, შენ მაგ მხრიდან მოუარე და ორი დღის საზრდო მზად გვექნება.

სათანადო ყურადღება არ ექცევა თბილისის საკალაკო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას ქ. თბილისში ძაღლების შენახვის წესის შესახებ, რის გამოც ქალაქის განაპირა ტყეებსა და ეზოებში მრავალი ძაღლი დაფანწალებს.

ნაკოვი

ნაკვეთები

გამყიდველი მომმხმარებელს უწყალოდ ატყუებდა, მეღვინეს კი ასეთი მოტყუება ვერაფერ წარმოუდგენია.

ცოლმა უბრძანა ქმარს—შემომფიცე, რომ სხვა ქალებს არ უყურებო, და—შენს თავსა ვფიცავ, რომელ მხარესაც ქალი ჩამოვლის, იმ თვალს ყოველთვის ვხუჭავო.

ექიმო! უქეიფობას რა ვუშველო. და—იქეიფეო.

შეადგინა ვახტანგ ჯავრიშვილმა

სამკითხველოში გამგეს უფრო ხშირად კითხულობდნენ, ვიდრე წიგნებსო.

მოკრივეს ჰკითხეს, ყველაზე მეტად რა გძულსო, რა და, ცხრამდე თვლაო.

მორბენალმა საკუთარი რეკორდი მოხსნა და გული ეტკინაო.

ფილმს უსტვინეს და რეჟისორმა თქვა, მექანიკოსის ბრალიაო.

შვილი დისერტაციას იცავდა და მამა შვილსო.

აბითურიენტმა მთელი სიმძიმე მძიმეებზე გადაიტანა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მოჭადრაკეს ორი ეტლი ჰყავდა და არც ერთი ცხენიო.

შოთა ჩანტლაძე

ნახ. დ. ...

„ია-ნანა ვარდ-ანა“
ბიბ-ლიოთეკა

„ია-ნანა“ რა ჭკნა

(სურათი ზოგიერთი რადიოგადაცემის შემდეგ)

ოკეანეში

ჩვენი «ვოლგა» თბილისის ზღვას მიადგა. გადმოვდიოდ მანქანიდან და მაშინვე შევეფეთენ ეუფლტრულ დასვენებას. საღამოს რესტორანში შევედით.

— ორი ბოთლი ლიმონათი და ერთი წყნილი მოგვტანეთ.—ეუბნება თეთრიერთი ხალათში გამოწყობილ ოფიციანტს.

— მე, ძმაო, თქვენთან სათამაშოდ მცალია? ღვინოს თქვენ არ სვამთ, წყნილის მეტს თქვენ არაფერს თხოულობთ. რაღას შემოდიოდით რესტორანში.

ეს წყენა, როგორც იტყვიან, ძლივს გადაეყლაპე, თვალებით კინაღამ გადაეყლაპე ოფიციანტი და ვიფრინე. მოკრძალებით ვიხედებოდი მათკენ, ვისაც ასე მორიდებითა და «ბატონო, შენი ჭირიმეთი» ემსახურებოდნენ. ბოლოს მოამბენების ფიალა აივსო.

— როდემდე უნდა? გვაყალაბინო ნერწყვი? —გადუხედ ოფიციანტს.

— ნუ აწუხარ, ძამიკო, სხვები თქვენ შემოგნატრიან, ისინი უფრო მეტად ყლაპავენ ნერწყვს. ამ თქვენი გოგოს შემხედარე.—მხარზე მომიტატუნა ოფიციანტმა და იქით გამაბეგა, საიდანაც ჩემს სატრფოს თვალები, ხელთ თუ ფეხთ რაღაცეებს ანიშნებდნენ, იღიმებდნენ, კოცნას უგზავნიდნენ. უნებურად დანას ეტაცე ხელი.

—მომეცი, მაგ ფანა ცუდათ ჭრის, გამოგაცლი!—მტაცა ხელი ოფიციანტმა.

ეცემ დამეკენესა. შემოვიდნენ, სკვინტუბივით ჩამოსხდნენ სკამებზე და გაისუნქნენ.

— «ნოხმილო, რატომ არაფერს უკრავენ მუსიკოსები?—ვკითხე ჩვენს ოფიციანტს.

— ახლა მაგაზე მედავეთ, მუსიკა მაინც არ გვიწერია მენიუში...

ღრეობის ეპოქი შესულმა ჩვენმა მეზობლებმა ორკესტრი სკამებიდან წამოყარეს, მაგიდაზე მიიწვიეს.

— ეს გაკმაყოფილ ქარიფელის ბიეტმა, რაც რამეები დაგეკლეთო, ან ეკიკიროდ ვიტყვი რა, სულ ბევრი ყამბერი იყოს ოქტენი მშობლები.

— მე ჩქვარი მყავს მამა,.—ღვინისთან ერთად ცრემლიც მოეროია «ეუნლაზი ბაბუას, აკორდეონისტმაც მაშინვე გამოსაწორა შეცდომა და «თააააოოო ჩემო, ბედი არ გიწეეე...» წამოიწყო.

როგორც იყო, ბოლოსრულა ხმა. სიტყვა მინდოდა მეთქვა ქეთინოსათვის, მეღალპარაკა სიყვარულზე, მომავალზე. შეესაფერი დრო ვიპოვე და აი, დავიწყე კოდეგ:

— მე და შენ, ჭუმი ქეთინო... როცა ჩვენ... (უჰ, რა ძნელია ახალ ზეკვარებულთან ლაპარაკი!) ჩემო ქეთინო, ხომ გიგრძნობს გული, რომ მე და შენ ცხოვრებას...

«შენ ცხოვრეეებას ჩორნი ტოჩკაააა...» დაუსვა ჩვენს საუბარს «ტოჩკა» ახალმა გულგამგრარაკმა სიმღერამ, რომელიც 25-მანეთიანი «ბისეტით» სამეკერ გაამეორებენს. აი, მიწყდა სამგლოვიარო მელოდიები და მე გავეკარეკ:

— როცა ჩემს ოჯახში შეხობალ, გამბიარულდება სახლი ბერი, დედაჩემი შენ, ქეთინო, ავი დედამთილი არ ეგეგნოს, აი, ნახე, თუ შენი გაცნობისთანავე არა თქვა...

«თააააეო ჩემო, ბედი არ გიწერიიიი...»

— არა, ცხადია, ასე კი იტყვის,—ეუფლეინე უცეს, მომღერალოსაკენ გავიხედე და უბეზერად ორიეეეს ბეგეეეინა, ამან, როგორც ჩანს, იგი გააბაწყენა და სიმღერით მოგვეპასუხა: «ვინ რა იცის, რომ სიცილი ფწეააოოეეააა, რომ სიკვდილი ძალიან ფინთი რაბეეა».

— კაცო, ნამეი ალარა გიკვნ! ანაშვიდზე ხომ არა ვართ! მაგ სიმღერის მეტი არაფერი იცით?.. დიუკარი რამე სამხიარულო.

— ეეა, აზროოკან, აქ ერთი ობოლი ბიეი ზის, ისაც ცოდო არ არის!.. თანაც ითით სიმღერა ხუთი ოფანანი იძლეეა.

«დარდისაგან» და ოთხი ბოთლისაგან ჭკუაზე გადასული ობოლი, ჩემს ქეთინოს რომ კოცნას უგზავნიდა, ბაგიდიდან წამოდგა და ახლა თეთონ დაიწყო: «ყვაააკი»—ყვაააკი... „(როგორც ჩანს, სიტყვები გადააგიწყდა. მაგრამ არ დაინძა და ეკანკარა)

ქალო გამო ქიშმში,
ეიმეში მაქეს კიბეში.
ბინდა ერთხელ ცოხეეი,
ხეალ მიდეიეარ... მაკოცე!

სიმღერა რომ დაამთავრა, გაიკრიჭა და ქეთინო თვალი ჩაუარა.

— ყმაწვილო, მარცხენა თვალი ეიოთამშეხთ, საწყენი შეგხვდებათ რაღაც.—გავაფრთხილე მე.

ჩემი სატრფოს მოტრფიალე

ბონის ოფიციალური წრეები ცდილობენ უარყონ დასავლეთგერმანელი სპეციალისტების მონაწილეობა საფრანგეთის ატომური ბომბის შექმნაში.

ბონის ბუში

ნახ. რ. მახარაძისა

— არსად წამოგცდეს, რომ ბავშვი ჩემია!

... ...

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი რედაქციის 'კარებ' შემოაღო ერთმა ხანში შესულმა კაცმა, მაგიდაზე ფურცლები დაყარა და მორიდებით გამოგვიტყდა: იუმორისტი გახლავარ, და არიქა, გეშველათო. რომ წავიკითხეთ, კინაღამ სიცილით დავიხოცეთ—ისეთი უკბილო იყო. ვუთხარით პირში. იმანაც პირში გვითხრა ბიუროკრატები ხართ, ახშობთ ახალგაზრდა ტალანტებსო. კვლავ ცივი უარი «ვტკუცეთ». იმან კი ცხარედ მოგვიჭრა: თვითონ სიცილით სკდებით და მკითხველს უკარგავთ ამ სიამოვნებასო. ეს შენიშვნა «სამართლიანი» გვეჩვენა და გადავწყვიტეთ დაგვებეჭდა. ვფიქრობთ, თქვენც გაგეცინებათ.

* * *

კაცი სახლის წინ იდგა და მელოტ თავზე წამალს ისვამდა.

— რას შვრებიო,—შეეკითხა ნაცნობი გამვლელი.

— თმის ამოსაყვან წამალს ვისვამო.

— შენ რომ აწი თმა ამოგივა, მეტი არაა ჩემი მტერიო,—«ჩაუნისკარტა» ენამოსწრებულმა გამვლელმა და გზა განაგრძო.

* * *

ყმაწვილი ბაღში პაემანზე იყო. დროის მოსაკლავად გადაიპარა გაზონებში და ვარდს დაუწყო კრეფა. ეკლებმა თითები სულმთლად დაუსისხლიანა.

— ხომ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია!—ნიშნის მოგებით დატუქსა ბუჩქებს უკან მდგარმა მილიციელმა და კმაყოფილმა გზა გააგრძელა.

* * *

ერთი ქვისმთლელი შეხვდა დიდი ხნის უნახავ დალაქს.

— როგორა ხარო.

— რა შენი საქმეაო,—ხუმრობით უპასუხა დალაქმა.

— ისე ვიკითხე, თორემ თავში ქვა გიხლიაო.

— თავშიც ქვა გიხლია და მუცელში სამართებელიო,—მოსწრებულად მიუგო დალაქმა და გამომშვიდობებისას ქუდი დაუქნია.

ნიკორი

საზღვარგარეთული ... ბიბლიოთეკა

სუროთეკი

ოთხმოცი წლის მილიონერმა ქალმა თავისი უძრავ-მოძრავქონება დაუტოვა ერთადერთ მემკვიდრე ჯიმს. მიუხედავად იმისა, რომ ჯიმი ოთხფეხაა, კარგად დარაჯობს საკუთრებას. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ჯიმს ძაღლის ბედი აქვს და ყველა მას შენატრის.

— : —

საბავშვო ლიტერატურის სექციამ გამოსცა ალფრედო კუკის საბავშვო რომანი „ცხოვრება დანახული რევოლვერის ლულიდან". აღნიშნულმა წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ბავშვებში: მოკლულია—3, დაჭრილია—18.

— : —

ლედი ტომსონი ეძებს საქმროს, რომელსაც არ ეყოლება დედა და ეყოლება კალიფორნიის ჯიშის კატა. ლედი აცხადებს, რომ აქვს მილიონი შემოსავალი, ჰყავს ათამდე მოახლე და აუტანელი ხასიათის ქმარი.

— : —

გუშინ შტატ ოგაიოს მკვიდრმა ბელი ჯეკსონმა 20 წუთის განმავლობაში შეჭამა 3 ულუფა შნიცელი, 10 მოხარშული კვერცხი, 15 ცალი ღვეზელი, კილონახევარი პური და ზედ 2 ბოთლი „ვისკი" დააყოლა. მან 1 კილოთი გააუმჯობესა სემი როკფორდის მსოფლიო რეკორდი, მაგრამ არ ჩაეთვალა, რადგან იგი გუშინ გამოსულა ციხიდან, სადაც 5 დღის განმავლობაში შიმშილს აცხადებდა.

— : —

წუხელ, ღამის სამ საათზე თავი ჩამოიხრჩო მოქალაქე ბილი რაიტმა. იგი ჩამოკიდებული იყო „ჯორჯ ენდ ტომას კომპანის" მიერ დამზადებულ ყელსახვევზე. ყელსახვევი ნეილონისაა, ყელს რბილად ეხება, იაფია და, ამასთან, საიმედოცაა—არ წყდება. ისარგებლეთ „ჯორჯ ენდ ტომას კომპანის" ნაწარმით!

მიმოგზილველი

ბოთიკოვი ნიანგს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძია ნიანგო!

ამ სამი წლის წინ მშრომელთა დეპუტატების თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ყურად იღო ჩვენი არაერთგზის თხოვნა და საბავშვო ბიბლიოთეკა პატარა ბინიდან უფრო პატარაში გადაიყვანა. მას შემდეგ წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა უადგილობის გამო კარიდან კარზე დაიწყო სიარული და სამუდამოდ დაივიწყეს თავიანთი საბრალო საბრძანებელი. ნაწილი წიგნებისა ინახება მოსამართლის კაბინეტში, ხოლო ნაწილი რაიკოოპკავშირის კანტორაში. დარჩენილ წიგნებს კი ისეთი სასიამოვნო ჟუჟუნა წვიმა დასდის თავზე, რომ ყველასაგან გასაკვირველ შედეგებს ვღებულობთ. ასე, მაგალითად, წიგნზე «ძირს სიმინდის რესპუბლიკა» —სიმინდი ამოვიდა, ხოლო «უსახლკაროზე»—სოკოებმა გაიჩინეს სახლკარი.

აღნიშნული მიზეზის გამო თელავის ქალაქის საბჭოს წყალობით ძირითადად წაკითხულის გამეორებაზე ვართ გადასული და წვიმის შედეგებზე დაკვირვებას ვაწარმოებთ.

იქნებ გვიშველო, ძია ნიანგო, და ჩვენი სახელით სთხოვო თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ ბინა გამოგვიცვალონ, ხოლო თუ არ გამოგვიცვლიან, ქოლგა მაინც გვიშოვონ და იმით მაინც გადაარჩინონ წლობით შეძენილი საყვარელი წიგნები.

თელაველი პატარები

ძვირფასო ნიანგო!

ახლა ტექნიკა ისე მიდის წინ, რომ მალე სოფლის გლეხობა რადიოზე უარს იტყვის და ტელევიზორზე განჯხადებს პრეტენზიებს, მაგრამ ჩვენ, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის მცხოვრებლები უპრეტენზიო და თავმდაბალი ხალხი ვართ, ამიტომ რადიოზეც თანახმა ვიყავით. თანახმა ვიყავით და გამოგვიყვანეს კიდევაც რადიო ორი წლის წინათ. ილაპარაკა რადიომ, იმღერა, იხუმრა, ხან ლექსი წაგვიკითხა, ხან მოთხრობა, მოკლედ, ძალიან კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ შეუსრულდა თუ არა სამი თვე, დადუმდა, გაგვებუტა. რა არ ვუქენით, როგორ არ ვეხვეწეთ, ბიჭო, ამოიღე ხმაო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე. დავრჩით ურადიოდ. შენ ალბათ იცი, ძვირფასო ნიანგო, რა ძნელია ურადიობა რადიოს მიჩვეული კაცისათვის. ისე დავდივართ ერკეთელები, თითქოს ოჯახის ყველაზე საპატივცემულო წევრი დაგვმუნჯებოდეს, მაგრამ ამ ავადმყოფის განკურნების რაღაც იმედი მაინც გვაქვს, რადგან ეს ორი წელია რადიოს ფულს რეგულარულად გვახდევინებენ, ხან პირდაპირ, ხან გადარიცხვით. ჩვენ ხარჯებს არ ვერიდებით, ძვირფასო ნიანგო, და ფულიც არ გვენანება, პირიქით, რადგან ხარჯი-ხარჯია, რაც ჩვენს რაიონში გაფუჭებული რადიოებია, იმათი ხარჯებიც ბარემ ჩვენ დაგვაწერონ, როგორც ამ ამბავს უკვე შეჩვეულებს.

ერკეთელი

ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების დროს გამარჯვებული გამოვიდა მახარაძის გუნდი „კოლმეურნე“.

თასიანი

ბრეულ სხვასაც ქე უნდოდა
ამ ჩაბროლილ თასის ქონა,
მერე რაი, უკაცრაოდ,
ვერ მივართვით, ძამიკონა.

ამგაისს თლათ ვარესს ვიზამთ,
ქე შექვჩება თასი თასად,
აბდალაი არ გეგონოთ,
რას გავატანთ აპა სხვასა!

ჩას ხომ იმდენს დავახვავებთ,
ვისახელებთ კიდომ თავსა,
მერე ტკბილად ვუჭახუნებთ
ამ ჩვენს თასს და «ჩაის თასსა».

კრიმანჭულა

ნახ. ნ. მალაზონიასი

ძმაო ნიანგო!

«რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია».— ეს სიტყვები რუსთაველმა. როგორც გენიოსმა, ნამდვილად ჩვენ, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ გოლათუბნის და სადგურ წიფის მცხოვრებლებს გვიწინასწარმეტყველა. საქმე ისაა, რომ ჩვენი ელსადგური იმ ჭრელ პეპელას გავს. რომელსაც ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების ეძახიან. და რა ქნას ჩვენმა ელსადგურმა, თუ გაზაფხულზე წყალდიდობას მიაქვს, ზაფხულზე წყალი შრება არხში, შემოდგომაზე ფოთლებით იტენება და ჩერდება, ზამთარში იყინება, წელიწადის დანარჩენ დროს კი ასე უპატრონოდაა მიგდებული, ამ სურათზე რომ არის აღნიშნული. სამ წელიწადს უძლებდა საწყალი ელსადგური ამ სტიქიურ უბედურებებს, სამ წელიწადს ბჟუტავდა დალეული სანთელივით, სამ წელიწადს ფეთქავდა მომაკვდავის საფეთქელივით და ბოლოს დაჰკარგა თვალისჩინი და გარდაიცვალა. როგორც ადათი და წესია, ყველა მიცვალებულის სურათს ადიდებენ და ოჯახში თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდებენ ხოლმე, რათა თვალცრემლიანმა ჭირისუფალმა გული მოიოხოს მისი მზერით.

ჩვენც არ გვინდა, ძმაო ნიანგო, ადათს გადავუხვიოთ. გიგზავნით ჩვენი გარდაცვლილის, გოლათუბნის ელექტროსადგურის ფოტოსურათს. უმორჩილესად გთხოვთ, გაადიდოთ და გამოაკრათ თქვენი ჟურნალის თვალსაჩინო ადგილას შავ ჩარჩოში ჩასმული.

თვალდაშრეტილი ჭირისუფალი

რედაქტორი—ნიკო შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 18. ხელმოწ. დასაბ. 7/IX-1959 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურცელ. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.
ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკ. № 1130. უე 03744. ტირაჟი 40.000.

540

ნახ. გ. ფირცხალავასი

მთელ რიგ რესტორნებსა და სასადილოებში ხაჩივრის წიგნი გადაქცეულია მადლობის წიგნად, სადაც დირექტორებისა და ოფიციანტების ქება-დიდებაა ჩაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჩვენმა დირექტორმა მოგვართვათ!